კადისის (ესპანეთი) უნივერსიტეტის სამაგისტრო სტიპენდია 2012/2013 აკადემიური წლის გაზაფხულის სემესტრისთვის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს თსუ ჰუმანიტარულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა და იურიდიული ფაკულტეტების მაგისტრატურის პირველი კურსის პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის კადისის უნივერსიტეტში ერთი წლით სწავლის უფლების მოსაპოვებლად. მიმღები უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებულია სამაგისტრო პროგრამა: **საერთაშორისო ურთიერთობები და საემიგრაციო პოლიტიკა.**

შესარჩევ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელი პირობაა ინგლისური და ესპანური ენების ცოდნა.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბიოგრაფია/CV (ქართულ და ესპანურ ენებზე)
- მოტივაციის წერილი (ესპანურ ენაზე)
- რეკომენდაცია
- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ
- ბაკალავრის დიპლომის და დიპლომის დანართის ასლი
- სასურველია ესპანური ან/და ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი
- პასპორტის/პირადობის მოწმობის ასლი

კადისის უნივერსიტეტი გაცვლით სტუდენტს ათავისუფლებს სწავლების გადასახადისაგან. ესპანეთში ყოფნის ყველა სხვა ხარჯი (ბინა, კვება, მგზავრობა და სამედიცინო დაზღვევა) უნდა დაიფაროს სტუდენტის მიერ.

<u>საბუთების მიღების ბოლო ვადაა: 2012 წლის 30 ოქტომბრის 12 საათი</u>

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და საბუთების ჩასაბარებლად მიმართეთ ანი ჭელიშვილს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტში (თსუ პირველი კორპუსი, ოთახი 121, ელ-ფოსტა: ani.chelishvili@tsu.ge).

შენიშვნა: **დაგვიანებული ან/და არასრული განაცხადები არ მიიღება!**